CHIATURMANGANUM GEORGIA
Georgian Ferroalloys

შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"

ს/კ 215147874
იურიდიული მისამართი: თერჯოლის რ-ნი 2413, სოფელი ნახშირღელე
ოფისი: თბილისი 0183, შავგულიძის ქ. №1
ტელ: +(995 32) 222 29 50 / ფაქსი: +(995 32) 222 77 60
ელ-ფოსტა: info@chmg.com.ge / ვებ-გვერდი: www.chmg.ge

№66/07-20
02.07.2020

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის გამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"-მ ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი და ფეროსილიციუმი) ქარხნის საექსპლუატაციო პარამეტრების (წარმადობის გაზრდის) შეცვლის და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლოატაციაზე 2019 წელს გაიარა საქართველოს კანონი „გარემოსაცვითი შეფასების კოდექსი"-თ გათვალისწინებული (სკრინინგის, სკოპინგისა და გზშ-ს) პროცედურები და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 17/06/2019 N2-552 ბრძანებით მიიღო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება".

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, კომპანიას დაევალა „ექსპლუატაციის პირობების შეცვლამდე, უზრუნველყოს ხანძარქრობის სისტემებისა და საწარმოს საერთო ფართობზე (ავტოსამრეცხაოსა და ავტოგასამართის ჩამდინარე წყლების გარდა) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების (ანგარიში/მართვა) შესახებ დეტალური ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა".

ზემოაღნიშნული პირობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საწარმომ შეიმუშავა ხანძარქრობის სისტემისა და საწარმოს სანიაღვრე წყლების მართვის დეტალური გეგმა, რომელიც 2020 წლის 11 მარტს, შესათანხმებლად წარდგენილი იქნა სამინისტროში.

სანიაღვრე წყლების გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტერიტორიაზე წყალშემკრები არხების და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მექანიკური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა/რეაბილიტაციას.

სამინისტროს 2020 წლის 22 აპრილის N4028/01 წერილის თანახმად, სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები, მათ შორის სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იყო გათვალისწინებული პროექტის გზშ-ს ანგარიშსა და სამინისტროსთან შეთანხმებულ ზედაპირული წყლის ობიექტში, ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტისა და II დანართის 10.6 ქვეპუნქტის შესაბამისად დაგეგმილი პროექტის განხორციელება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნ.
№ 9994
02 07 20
2/32 +C0
03

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

დანართი: სკრინინგის განაცხადი, ელ ვერსია.

პატივისცემით,
დირექტორი

მამია ბერიძე